

პ.ჟ. ლეონარდი

ხომალი
ლეონარდი



ბაკურ სულავაშვილის
გამოცემობა



თავი პირველი

ფიფქია



კარზე ჩუმად დააკაკუნეს.

— მადამ!

ლუკრეცია კატერმა თავი მიაბრუნა, უქუთუთოო თვალები
მუქლურჯი ბურთულებივით უციმციმებდა. ოთხი შავი, ქიტინიანი
ფეხით დაუძაბავად ეჭიდებოდა თეთრ ჭერს, იისფერი ქვედაკაბა
იატაკისკენ ჩამოსძაგრვოდა.

— დიახ, ჟერარდ, — გაეპასუხა.

— ამერიკელი მსახიობია, რუბი ისოლო უმცროსი. კაბის მოსა-
ზომებლად გეახლათ, — კარს იქიდან მოახსენა ფრანგმა მსახ-
ურმა. აკრძალული ჰქონდა თეთრ ოთახში ფეხის შედგმა, თუ არ
უბრძანებდნენ, შემოდიო.

— დაბლა შეიყვანე.

— როგორც ინებებთ, მადამ.

ლუკრეცია უსმენდა მსახურის ჩუმი ნაბიჯების ხმას, რომელ-
იც თანდათან მიწყდა დერეფანში. რა მშვენიერია, რომ ირგვლივ

უმცირესი მოძრაობაც კი არ გამოეპარება. ახალი სხეული და გამახვილებული გრძნობები ძალას ჰქმატებს. ერთი სული აქვს, როდის დაანახვებს სამყაროს თავის ნამდვილ სახეს; და ეს ნამი შორს აღარ არის.

ქალმა გაიწოდა წინა კიდურები, რომლებიც ადამიანისა ჰქონდა და კარის გვერდით ჩამოჰყვა კედელს, შემაშფოთებელი სიჩქარით დაეშვა და იატაკზე უკანა ფეხებზე დასტა. კარისკენ მიმავალმა შუა ფეხები ქვედატანის სარჩულებში ჩაკერებულ ჯიბეებში ჩაიკეცა, ელვაშესაკრავი აიწია და ხოჭოს ტანი დამალა. დაავლო ხელი მინის მაგიდაზე დაუდევრად მიგდებულ პარიკს და თავზე ჩამოიცვა, მერე აიღო ორგანული მინის სკამის საზურგეზე გადაკიდებული თეთრი ხალათი, ხელები სახელოებში გაუყარა, მხრების ერთი შერხევით შემოიცვა, ჯიბიდან მზის ვეებერთელა სათვალე ამოიღო, სწრაფად დაიკოსა ცხვირზე და მწერის ფასეტური თვალები დამალა.

სარკის წინ დატრიალდა, ხომ კარგად გამოვიყურებიო, და მაგიდაზე მიყუდებული აბანოზის ხის ხელჯოხი ჩაბლუჯა. ხელჯოხი არაფრად სჭირდება, მაგრამ მის დანახვაზე ხალხს სჯერა, მართლაც ავარიაში მოხვედრილაო, ავარიამ კი დამაჯერებელი ლეგენდის როლი შეასრულა, სანამ თვითონ დასაჭუპრებელ კამერაში იყო და მეტამორფოზას განიცდიდა.

დაიძაბა. უხმაურო ნაბიჯებით გამოწვეული ვიბრაცია იგრძნო. ეს ნაბიჯები მის პირად მცველს ეკუთვნოდა.

ლინ-ლინი ნინძა ქალი იყო, ანუ კუნიოტი, ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორის, პუ-ის მცველის, ტოშიცუგუ კატამაცუს მოწაფე. თავის დროზე „ნიუ-იორკ ბალეტში“ ცეკვავდა, ყველაზე ახალგაზრდა სოლისტი იყო, მაგრამ მისი კარიერა „გედის ტბის“ სპექტაკლზე დასრულდა, როცა რეკორდული სისწრაფით ასრულებდა შავი გედის ლეგენდარულ ოცდათორმეტ ფუეტეს და ფეხი კოჭში გადაუტყდა. ლინ-ლინმა პუანტები ლურსმანზე

ჩამოკიდა და ნინძის ხმალი აიღო. ამ ხმალს მუდამ აუცდენლად ურტყამდა.

ლუკრეცია კატერმა კარი გააღო. ჩვეულებისამებრ შავებში გამოწყობილი ლინ-ლინი გარეთ იცდიდა.

— გაირკვა რამე იმ ოხერი ხოჭოებისა?

ლინ-ლინმა თავი გააქნია.

— კრეივენი და დანკიში ჯერაც დაეძებენ.

— ტვინნაკლულები! — წაიდუდუნა ლუკრეცია კატერმა, — ყვი-თელი ჭიამაიები გაუშვი. მთელ ქალაქში მჭირდება მოთვალთვალები. იმ წყეულმა ხოჭოებმა შეიძლება ყველაფერი დამიღუპონ. უნდა ვიპოვო და ყველანი მოვსპო.

ლინ-ლინმა თავაზიანად დაუკრა თავი.

„ემპორიუმის“ ხოჭოებთან შებრძოლება მოულოდნელად მოხდა, ლუკრეცია კატერს კი ბრძოლის წაგება არ სჩვევია. ის ხოჭოები უსათუოდ უნდა მოსპოს, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ საიდუმლოდ ეწევა ტრანსგენური მწერების მოშენებას, ხოლო ხოჭოების არსებობა ამის დამამტკიცებელი საბუთია, არამედ იმიტომაც, რომ სახალხოდ მიაყენეს შეურაცხყოფა. რამდენი ხალხის მოქრთამვა დასჭირდა, ციხეში რომ არ ჩაესვათ და მისი ახალი თვალები გაზეთების პირველ გვერდზე არ გამოეჭენებინათ! იმ ხოჭოებმა დროც დააკარგვინეს და ფულიც, ამიტომ მანამ არ მოისვენებს, სანამ ნაცარტუტად არ აქცევს.

— ჰო, მართლა, ლინ-ლინ, ჩვენს ჯაშუშებს შხამიანი *Coccinellidae*-ებიც გააყოლე — თერთმეტწინწკლა ყვითელი ჭიამაიები. თუ კიდევ ჭაჭანებს ვინჩე, ვინც ჩემს საქმეში ყოფს ცხვირს, უნდა მოვსპო და გავანადგურო, — საჩვენებელი თითი ასწია, — ოღონდ ბართოლომე ქათლს არაფერი დაუშავონ. იმას მე თვითონ მოვუვლი.

ლინ-ლინმა თავი დაუკრა და უჩუმრად გავიდა.

ლუკრეცია კატერმა კარი მიხურა. ბართოლომეს გაქცევა არ ეპიტონავა, მაგრამ დააბრუნებს. ვერსად წაუვა. საჩვენებელი თითი ტუჩზე მიიკაუნა და მოღალატე ხოჭოებზე დაიწყო ფიქრი. კაცმა

რომ თქვას, საამაყოდ უნდა ჰქონდეს ამ ხოჭოების უნარ-შესაძლებლობები. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ მისი ლაპორატორიებიდან გამოვიდნენ.

გაეღიმა. ვინ იფიქრებდა, რომ ბართოლომე ქათლისა და ხოჭოს დნმ-ის შეჯვარებით ასეთ შთამბეჭდავ შედეგებს მიიღებდა? ხეშეშფრთიანები ფიქრობენ და თავისუფალ ნებას ავლენენ. ეს რაღაც ახალია. აქამდე არ შესწრებია, სხვადასხვა ჯიშის ხოჭოები ერთობლივად, შეთანხმებულად შებრძოლებოდნენ მტერს. ერთ ნახვად ღირდა, თუმცა ისიც შენიშნა, რომ ხოჭოებს მკვლელის ინსტინქტი აკლდათ. ჩაეცინა. ალბათ ბართოლომეს ჩვილი გული გამოჰყეათ. მისი ახალი ხოჭოები ნახევრად ნაგაზები არიან: წვრთნას ემორჩილებიან, ბრძოლაც იციან და ბრძანებების შესრულებაც. მორჩილ მონათა არმია გამოზარდა და სხვა აღარაფერი სჭირდება.

მაგიდის უკან აღმართულ ორფა სარკესთან მივიდა, ხალათის ჯიბიდან პომადა ამოილო, ტუჩები ბრჭყვიალა ოქროსფრად შეიღება და მოპრუნა. სულს გააფრთხობინებს იმ ბიჭს, კრიპსა: როგორ გაბედა ქათლის ხოჭოების გათავისუფლება?! იმ ბიჭმა რამდენიმე წლით უკან დასწია.

კარზე კაკუნი და საქვეყნოდ ცნობილი ხრინწარევი კისკისი გაისმა. შეტრიალდა.

– მობრძანდით, – თავაზიანი ღიმილი გადაიფინა სახეზე.

უერარდმა კარი გააღო და ოთახში თეძოების რხევით შემოგოგმანდა ქერა, ვნებიანი, ვარდისფერ სვიტერსა და თეთრ პლისექვედატანში გამოწყობილი გოგონა.

– რუბი, ჩემო კარგო, რა კარგია, რომ მესტუმრეთ, – შეეგება ლუკრეცია.

რუბი ისოლო უმცროსმა ქერა კულულები შეარხია და კრიტიკულად მოათვალიერა სადად მორთული ოთახი.

– აუჟ! რომელ დიზაინერს გააფორმებინეთ სახლი? – ხელისგული აჩვენა, – არა, არ მითხრათ. ვინც გინდა იყოს, კინწისკვრითაა გასაგდები. აქაურობა ლაპორატორიას უფრო ჰერცი, – დაიჭყანა, –

შიშით დაგბურძგლავს, – და ლუკრეცია კატერს მოვლილ-ლაქნას-მული თითი ატაკა, – ეს აფთიაქური ბრწყინვალება მეტისმეტი მოგსვლიათ. ამ ოთახს ერთი რაღაც სჭირდება: ფერი უნდა შემატოთ. გარგრის ან ატმისფერი... და ბალიშებიც... ბალიშები ყველას უყვარს. ერთ მაგარ ტიპს ვიცნობ, თუ დახმარება გჭირდებათ, – ჩაიხითხითა, – არადა, მგონი, ორივემ ვიცით, რომ გჭირდებათ.

ლუკრეცია კატერს პასუხი არ გაუცია და სანამ რუბის სიტყვების შემდეგ ჩამონალილი უხერხული დუმილი იდგა, სახეზე თავაზიანი ლიმილი არ მოშორებია.

– უბრალოდ, ვიფიქრე, დავეხმარები-მეთქი, – გულგრილად ამოიხვეშა რუბიმ, მერე კი უერარდს წამნამები დაუფახურა, – მწყურია. შუშხუნა არაფერი გაქვთ?

მსახური ლაბორატორიის სტენდის ქვეშ შედგმულ მაცივართან მივიდა და გაყინული ფუჟერი და მუქი მწვანე ბოთლი გამოიღო. ბოთლი გახსნა, ფუჟერი შამპანურით აავსო და მომლოდინე მსახიობს გაუწოდა.

ლუკრეცია კატერმა ხელი ხელს შემოკრა.

– აბა, რას ვშვრებით კინოდაჯილდოების ცერემონიაზე? ვაპირებთ მოვხიბლოთ მთელი მსოფლიო?

– ვაპირებ რომელია, – რუბიმ ერთი მოყუდებით გამოცალა ჭიქა, მსახურს დაუბრუნა და პირი სახელოთი მოიწმინდა, – აბა, აქ სხვა რა საქმეზე მოვიდოდი?

– კეთილი, – ლუკრეცია კატერმა ლიმილის ნიშნად დაკრეჭილი კბილები გამოაჩინა და თავს შეახსენა, ახლა სწორედ ასეთი გამომეტყველების შენარჩუნება მმართებსო, – უერარდ, „ფიფქიას“ დროა.

– ფიფქია? ფიფქია ვინდაა? – მოიღუშა რუბი, – ახლა ჩემი მოზომების დრო არ არის? თქვენებს ტელეფონით მოველაპარაკე. მე ახლა დიდი ვარსკვლავი ვარ და არავითარ შემთხვევაში...

უერარდმა თავისი სიმაღლის მუქი, თხელი, გორგოლაჭებიანი ჩემოდანი შემოაგორა.

– ჩემს ქმნილებას „ფიფქია“ ვუწოდე, რადგან ბუნებაში არსებული უქათქათესი ნივთიერებისაგან გახლავთ დამზადებული, – აუხსნა ლუკრეცია კატერმა.

ჟერარდმა საკეტები გააჩხაკუნა და ჩემოდნის კარი ფართოდ გაიღო. შიგნით შუქი ციალებდა. ამ შუქს ოქროსფერ საკიდზე ჩამოკიდებული თხელი კაბა ასხივებდა.

– აუჰ! – აღტაცებით აღმოხდა რუბის და ლაქნასმული ფრჩხილების წვერები წითლად შეღებილ ტუჩებზე მიირტყა, – ჯადოსნური მტვერი აყრია თუ რა არის?! – ჩემოდნისკენ წავიდა და ხელი გაიშვირა, კაბას უნდა შეხებოდა.

– არა, ხოჭოებია.

– რაო? – რუბიმ სწრაფად გასწია ხელი უკან.

– დაგიზუსტებთ: *Cyphochimus* ხოჭოებია, – განაგრძო ლუკრეციო ამ, – აზიური ხოჭო გახლავთ. ამ სიქათქათეს ქერცლის საფარი – თხელი, ამრეკლი ფოტონური ფენა – ქმნის. ეს ქერცლი იმაზე თეთრია, ვიდრე ადამიანის მიერ დამზადებული ნებისმიერი ქაღალდი. ქერცლს რთული მოლეკულური გეომეტრია ახასიათებს, რომლის წყალობითაც სრულყოფილად ახერხებს სინათლის გაბნევას.

რუბი შეძრნუნდებული მიშტერებოდა კაბას.

– მაშ, ეს კაბა ხოჭოებისგან შეეკრეთ? მკვდრები არიან, არა?

– ასეთი სრულქმნილად თეთრი ქერცლის წარმოსაქმნელად *Cyphochimus* ხოჭომ თანაბრად უნდა გადატეხოს ყველა ფერი, – განაგრძობდა ლუკრეცია კატერი, – ამგვარი სასწაული ბუნებაში იშვიათია და ასეთი სრულყოფილად თეთრი ქერცლი არასოდეს გამოუყენებიათ იმ სამოსის შესაქმნელად, რომელიც შუქით, ბლიცებიანი ფოტოკამერებითა და პროუექტორებით გაბრდლვიალებულ ცერემონიაზე ჩაცმის ღირსი იქნებოდა, – რუბის თვალი თვალში გაუყარა, – ვისაც ეს კაბა ეცმევა, ყველა მნახველს დააბრმავებს, ნამდვილი ვარსკვლავივით იპრწყინებს.

რუბიმ კვლავ კაბისკენ გადაიტანა მზერა და თვალები ააფახურა.

– გნებავთ, მოიზომოთ? – წაიჩურჩულა ლუკრეცია კატერმა

და მსახიობს მიუახლოვდა, – ზუსტად თქვენს ტანზეა შეკერილი.

რუბიმ ნელა დაუქნია თავი.

– მმ... ჰმ. დიახ.

ლუკრეცია კატერმა უერარდს ნიშანი მისცა, მანაც კაბა ჩემოდ-ნიდან გამოიღო და ოთახის მეორე მხარეს მდგარ თეთრ შირმაზე გადაკიდა.

– მიბრძანდით შირმის უკან და გადაიცვით. უერარდი სარკეს გაგიმზადებთ.

რუბიმ შიშით შეხედა კაბას.

– ხომ ხოჭოებია და სხვა არაფერი?

– სწორედაც, – თავი დაუქნია ლუკრეცია კატერმა და სახეზე ღიმილშეყინულმა გაადევნა თვალი მსახიობს, რომელმაც ყოყ-მანით გადაიარა ოთახი და შირმას მოეფარა, – ხოჭოები გახლავთ, სხვა არაფერი.

– ოპჰ, ღმერთო, – ამოიხვენეშა რუბიმ, როცა კაბა გადაიცვა, – რა გასაგიშებელია!

ამერიკელი მსახიობი შირმიდან ფეხშველა გამოვიდა, ტანზე „ფიფქია“ ეცვა. ლუკრეცია კატერის ყალბი ღიმილი ნამდვილ ღიმ-ილად გარდაისახა. კაბა თვალისმომჭრელი იყო, 1920-იანი წლების მოდაზე გამოჭრილი, ოღონდ კილიტებისა თუ მძივების ნაცვლად ხოჭოს პანია, თეთრი ელიტრებით იყო დაფარული, ციმციმებდა და მსახიობის ყოველ შერხევაზე შუქს ირეკლავდა.

უერარდმა ჩემოდნის კარი გამოშალა და სამი მაღალი სარკე გამოჩნდა, რომლებშიც რუბი ყველა კუთხიდან დაინახავდა თავს. მსახიობმა სარკეებს ზურგი შეაქცია, მხარს უკან გაიხედა და ტუჩებგაბუსხული დააკვირდა საკუთარ ანარეკლს.

– ოპჲ, როგორია! – აღტაცებით შეიკუნტრუშა, – არაამქვეყნი-ურად ლამაზი ვარ!

– ქალლმერთივით ბრწყინვალე, – თავი დაუქნია ლუკრეცია კატერმა.

– ჰო. მიყურეთ. მართლა ქალლმერთი ვარ, – ხელები თეძოებზე

დაილაგა, სარკისკენ გადაიხარა და სავსე მკერდი გამოაჩინა, – ეს კაბა ჩემი უნდა იყოს, – თეძოები შეარხია, თითქოს შიმის ცეკვავსო და ხოჭოებმაც საამურად დაიწყარუნეს, – ცერემონიაზე არცერთ გოგოს არ ეცმევა ამნაირი კაბა.

– დანარჩენი კაბები ამის გვერდით ჭუჭყიან ძონძებს დაე-მგვანება, – დაუდასტურა ლუკრეცია კატერმაც, – ხოლო როცა ბლიცები აკაშკაშდება და ნარნარად გაივლით წითელ ხალიჩაზე, ყველა ხოჭოს თითოეული ქერცლი აირეკლავს შუქს და ანგე-ლოზის შარავანდედი დაგადგებათ.

– ყოველ შემთხვევაში, სტელა მენინგს ხომ მაინც ვჯობივარ, – მტკიცე ნაბიჯით წაგიდა სარკისკენ რუბი და ისევ გამობრუნდა, – იმ ბებერ კუდიანს, გუშინდელ ახალ ამბებში რომ გამოიყვანეს. წელს ყველას ჩემზე უნდა დარჩეს თვალი. მე უნდა გამოვიდე გულისამაჩუყებელი სიტყვით და პრიზიც მე უნდა მომცენ.

– პირობას გაძლევთ, თვალს ვერავინ მოგწყვეტთ. ეს კაბა ისტორიაში შევა. მას არასოდეს დაივიწყებენ.

– რას ვიფიქრებდი, ხოჭოები თუ ასეთი ლამაზები იყვნენ?! – თეატრალურად აიქნია ხელები რუბიმ, – სხვა ვინმესაც რომ ეცვას ასეთი, სულს გავაფრთხობ და ის იქნება!

– ჩემთვის დიდი პატივია, რომ კინოდაჯილდოების ცერემონიაზე თქვენი დონის მსახიობს ჩემი ნახელავი ეცმევა.

– ჩემმა სტილისტმა გაქოთ, გენიოსიაო, ლეტიცია...

– ლუკრეცია...

– მმ... ჰმ... ლეტიცია თუ როგორც არის, – რუბი ჯერაც ტკბებოდა თავისი ანარეკლით, – და არ დავუჯერე, მაგრამ თურმე რა მწარედ შევმცდარვარ!

– მაღლობელი ვარ, – ლუკრეცია კატერს მოთმინება ელეოდა, – იღონდ უნდა გითხრათ, რომ თუ დაჯილდოების ცერემონიაზე ამ კაბის ჩაცმას აპირებთ, ორი მოთხოვნა მაქვს და უნდა შეასრულოთ.

– მოთხოვნა? – შუბლი შეიჭმუხნა რუბიმ, – რა მოთხოვნა?

– ცერემონიის დილამდე ამ კაბას ვეღარ ნახავთ, მერე ჩემი პერ-სონალის წევრი მოვა და მოგაზომებთ, შემდეგ კი ჩემი ერთ-ერთი მანქანით ნაგაბრძანებენ დაჯილდოებაზე. პრესას შეგიძლიათ უთხრათ, რომ „კატერის სახლის“ ნახელავი გეცმევათ, ოლონდ კაბა არავის აუნეროთ. საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

– საიდუმლოდ? – წარბები აწკიპა რუბიმ, – საიდუმლოებებს რა სჯობს! – ტაში შემოჰკრა, – ლიმუზინიდან წითელ ხალიჩაზე რომ გადმოვალ, მთელ ქვეყანას გავაგიუებ. წყალი არ გაუვა! – და ლუკრეცია კატერს ხელი გაუწოდა, – მოვრიგდით.

– მაშ, ეგ კაბა თქვენია, – უთხრა ლუკრეცია კატერმა და მსახ-იობის გამოწვდილი ხელი არ შეიმჩნია.

– მშვენიერია, – მხრები აიჩეჩა რუბიმ, ერთხელაც დატკბა სარკეში თავისი თავით, შემდეგ შირმის უკან ისკუპა და მეორე წამს კაბა უერარდს გადმოაწოდა. მერე გამოვიდა, ქერა კულულებზე ვარდისფერი სვიტერი ჩამოიცვა და ფეხი წვრილქუსლიან ფეხსაც-მელებში გაუყარა, – თურმე რა სასიამოვნო ყოფილა თქვენთან საქმის დაჭერა, ლულუ, – და სარკეში მაკიაჟი შეითვალიერა.

– რას ბრძანებთ, – მიუგო ლუკრეცია კატერმა, – სასიამოვნო ჩემთვის იქნება თუ იქნება, – და კარისკენ მიუთითა, – უერარდი გაგაცილებთ.

კარი რომ გაიხურეს, ლუკრეცია კატერი „ფიფქიასკენ“ შეტრი-ალდა და აღტაცებით შეაცქერდა თავის ნახელავს, მერე თავი უკან გადახარა და ყელის სიღრმიდან შემზარავი, ტკაცუნა ბგერა ამოუშვა.

ლია ჩემოდანში ჩამოკიდებული კაბა ისე აციმციმდა და აცახ-ცახდა, გეგონებოდათ, ნაწილებად უნდა დაიშალოსო, მერე კი თითქოს ქარიშხალმა დაუბერაო, აფრიალდა და ერთბაშად აფეთქდა: ათასობით საგანგებოდ გაწვრთნილი *Cyphochimus* ხოჭო თავ-თავისი ადგილიდან აფრინდა და მოციმციმე ტორნადოსავით დატრიალდა ლუკრეცია კატერის თავის გარშემო.

ლუკრეციას გაეცინა. იოლად გამოუვა, რაც ჩაიფიქრა.

თავი გეორგ

„შაშის შაშის შობრანულა“



ბიძია მაქსის სამზარეულოში დოქტორმა ბართოლომე ქათლმა მაგიდაზე ფრთხილად დადო ორი თევზი. ორივეს ორთქლი ასდი-ოდა. სოუსში ცხელი, დაკეპილი ბატკის ხორცი, კარტოფილის პიურე, დაჭრილი სტაფილო და ბარდის გროვა იყო ჩალაგებული.

— გმადლობთ, დოქტორო ქათლ, სერ, — თავაზიანად დაიწრიპინა ბერტოლტ რობერთსმა და ვეებერთელა სათვალე ცხვირზე აიწია.

— არაფრის, ბერტოლტ, — ბართოლომე ქათლმა ჯინსზე შეი-წმინდა ხელები და ისევ სამუშაო მაგიდას მიუბრუნდა, — საერ-თოდ, დიდი ვერაფერი შვილი მზარეული ვარ, — კიდევ ორი თევზი აილო, — მაგრამ ამის კეთება არ მეშლება. საგვარეულო რეცეპტია, მამიდან შვილზე ვადადის.

— მმმმ. — ვირჯინია უოლასმა კერძის სუნი შეიყნოსა და დანა-ჩანგლისკენ გაიწია. ბერტოლტმა ელვის სისწრაფით დაჰკრა ხელის ზურგზე ხელი. ვირჯინიამ შეუბდვირა, მაგრამ ხელები მაინც კალთაში ჩაიწყო.

— ძირითადად, ის ინგრედიენტებია, რითაც „მწყემსის მობრანუ-

ლა“ კეთდება, – ბართოლომე ქათლმა ერთი თეთვში დარკუსს დაუდო წინ, – ოღონდ მოუბრანავად, – ჩაიცინა და შვილს გვერდით მიუჯდა. დარკუსს უყვარს მამას ღიმილი. რომ გაიღიმებს, ცის-ფერი თვალების გარშემო კანი უნაოჭდება და მთელ სახეზე სიხარული ეფინება, – პატარაობაში მამაჩემი მიკეთებდა, ახლა კი, აი, მე ვუკეთებ ჩემს შვილს, – სიყვარულით გახედა დარკუსს და მუქი თმა აუჩეჩა, – ხომ გიყვარს, დარკუს? მამაჩემის პატივსაცემად „მამის მამის მობრანულას“ ეძახის.

– მა! – დაიჭყანა დარკუსი, თუმცა გულმკერდში საამური სითბო იგრძნო და ღიმილმა პირის კუთხეები აუგრიხა. სულ რამდენიმე კვირის წინ არ იყო, გულით რომ ნატრობდა, ნეტავ მამა გვერდით მყავდეს და ხუმრობდესო? და აპა, აუხდა. საავადმყოფოდან რომ გამოიყვანეს, ბიძია მაქსმა თქვა, უნდა მოვუფრთხილდეთ და არ გადავლალოთო, მაგრამ მამას დღითი დღე ემატება ღონე. ცოტა ხანში ყველაფერი კალაპოტში ჩადგება და შინ წავლენ.

მაგიდის მეორე მხარეს მსხდომებს გახედა. აი, ბერტოლტი და ვირჯინია კი ძალიან მოენატრება. აქამდე ამათზე უკეთესი მეგობრები არ ჰყოლია.

– აბა, შეუტიეთ, – გამოაცხადა მამამ.

– მამის მამის მობრანულა? – ჩაიფრუტუნა ვირჯინიამ, ჩანგალს ხელი დაავლო, პიურეში აურია ბარდა, ხორცი და კარტოფილი და ისე იტაცა პირში, თითქოს ერთი კვირის უჭმელიაო.

– რა გემრიელია, დოქტორო ქათლ, სერ, – თქვა ბერტოლტმა ისე, რომ ჯერ პირში კლუკმა არც ჩაედო.

– ბერტოლტ, ძალიან გთხოვ, „სერ“ აღარ დამიძახო. მისტერ ქათლიც საკმარისი იქნება. ან თუ გინდა, ბართი იყოს: ყველანი ასე მეძახიან.

– რას ბრძანებთ... ვერა... – ამოილუდლუდა ბერტოლტმა და მოჩვენებასავით გადათეთრებული სახე წითლად აენთო, – თქვენ ხომ ბუნების ისტორიის მუზეუმის მეცნიერების დირექტორი ბრძანდებით და...

— საერთოდ, დარკუსის მამას გეძახით, — დაიჩლიფინა ვირჯინიამ. პირი ისეთი გამოტენილი ჰქონდა, შავგვრემანი ლოყები ციყვივით გამობურთვოდა, მერე ლუკმა გადაყლაპა და განაგრძო, — თქვენ გვერდით რომ ვართ ხოლმე, ბერტოლტს მარტო მაშინ ემართება უცნაურობა და „სერს“ გეძახით.

ბერტოლტი თევზს დასცექეროდა და ისე ჭამდა, თითქოს წინ რთული თავსატეხი ედო და ანცობას ცდილობდა. თვალდათვალ წითლდებოდა, თეთრი კულულების ბურდში ავარვარებული თავის კანიც კი მოუჩანდა.

მამა რომ საავადმყოფოდან გამოწერეს, ბერტოლტმა იმ დღეს გაიცნო და მოიხიბლა. თვითონ შინ მამა არ ჰყავდა და დარკუსი ფიქრობდა, ჩემს მორცხვ მეგობარს ხანდახან ალბათ უნდა, თვითონაც ჰყავდეს ჩემნაირი მამაო.

— დამიძახეთ, რატომაც არა, — მოიწონა მისტერ ქათლმა, — ძალიანაც მეამაყება დარკუსის მამობა, — დარკუს გახედა და უცებ დასერიოზულდა, — სხვა თუ არაფერი, სიკვდილს გადამარჩინა.

— უკაცრავად, — თავი აიქნია ვირჯინიამ, — ალბათ გაიგეთ, რომ ჩვენც ვეხმარებოდით.

ბართოლომე ქათლს გაეცინა.

— რა სათქმელია, ვირჯინია! და ეჭვი მაქვს, რომ მაგ ამბავს აღარასოდეს დამავიწყებთ, არა?

— არა, — თავი გააქნია ვირჯინიამ. შავი ნაწნავები ჰაერში აქანდა და ჭრელაჭრულა მძივები კაკუნით მიეხალა ერთმანეთს. თმის დაწვენა ბაყაყისფეხა ფოთლიჭამია ხოჭოს, მარვინის გაცნობის შემდეგ დაიწყო: მარვინს ნაწნავებზე მოჭიდება უფრო უადვილდებოდა.

ჭამის დროს სიჩუმე ჩამოვარდა და დარკუსი მიხვდა, ვირჯინია და ბერტოლტი მე მელიან, ხმას როდის ამოვიდებო.

მართლაც დროა. დაგეგმეს, რაც უნდა თქვას დარკუსმა, რეპეტიციაც კი გაიარეს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, სიტყვები ყელში გაეჩირა. ბარდითა და პიურეთი გამოივსო პირი და მალლა